ხელშეკრულება № მომ24/01/12/12

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის 6 დეკემბერს ქ. თბილისში

შემსყიდველი: **შპს „საქაერონავიგაცია“,**

აღმასრულებელი დირექტორის **ევგენია მირიანაშვილის** სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი 0158, ტელ. 2 74-42-12.

საბანკო რეკვიზიტები: სს ბანკი „რესპუბლიკა“, ბანკის კოდი REPLGE22;

ა/ა GE69BR0000000005467067, ს.კ. 208144051.

მიმწოდებელი - შპს "თბილისი ჯგუფი"; ს/კ 205020029.

დირექტორი - ნ. ჭეიშვილი;

მისამართი, ტელეფონი - ქ. თბილისი, ბარნოვის ქ. №71;

საბანკო რეკვიზიტები - სს "პროკრედიტ ბანკი", ბანკის კოდი MIBGGE22; ა/ა GE65PC0223600100011243.

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს შპს „საქაერონავიგაციის“ საკუთრებაში არსებული კოპიტნარის აერპორტის შიდა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურმეო დანიშნულების 9 ერთეული მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 29.11.35.055; 29.11.35.056; 29.11.35.057; 29.11.35.058; 29.11.35.059; 29.11.35.060; 29.11.35.061; 29.11.35.062; 29.11.35.063) საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადება.

1.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 71351810.

1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს მთავრობის განკარგულება №1390, 05.07.11 წ.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2250 ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს, მათ შორის დღგ-ს.

3. მომსახურების გაწევის ვადა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს ზემომითითებული თარიღიდან 2 კვირის ვადაში;

3.2 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3. გადახდის ფორმა: უნაღდო.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ვალდებულია: ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან;

შემსყიდველი უფლებამოსილია: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირებს: კონსტანტინე ქოქოსაძე – ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნულ გამარტივებულ შესყიდვაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" და „ე" ქვეპუნქტები).

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მომსახურება გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოითხოვოს შემსყიდველისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების დროული გადახდა.
-

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დაგვიანებისას დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავის გადაწყვეტა

8.1 სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული დავის წამოჭრიდან ერთი თვის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ზემომითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ჩაითვლება მოქმედად, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და შეთანხმებულია ორივე მხარის მიერ.

10.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებ(ებ)ის შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველის მხრიდან

შპს „საქაერონავიგაციის“
აღმასრულებელი დირექტორი
ევგენია მირიანაშვილი

მიმწოდებლის მხრიდან

შპს „თბილისი ჯგუფი“
დირექტორი ნიკოლოზ ჭეიშვილი